**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მ. 75 კ.**

ტფილისი, 16 მარტი

კაცმა რომ სთქვას ავტორიტეტობა, ავტორიტეტი დიდი ხანია გადავარდა და თაყვანის-ცემა ერთისა და მეორისაც უგუნურობა არისო,—ან არ უნდა ესმოდეს, რას ჰნიშნავს ავტორიტეტობა და ავტორიტეტი, ან ამისი თქმა არ ჰსურვებია. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ ამ სიტყვების ჭეშმარიტს მნიშვნელობას გონების თვალ-წინ წარმოვიდგენთ.

მართლა და რა არის ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, ესე იგი, ის, რასაც ბ-ნი ხუდადოვი „ბობოლაობის“ და «ბობოლას» სახელით წინ-დაუხედავად სასაცილოდ იგდებს? ავტორიტეტობა იმ შემთხვევაში, რა შემთხვევაშიაც ბ-ნ ხუდადოვს უნებებია მისი დევნა და განდევნა, იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით*). ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავ-მდებია მისის აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა კაცები, კაცთა საბედნიეროდ და ბ-ნ ხუდადოვის გულის-საწყრომად და სასაცილოდ, ცოტანი არ არიან ქვეყნიერობაზედ და მათ შორის ჩვენც თუნდა იმათ დავასახელებთ, ვინც თვითონ ბ-ნს ხუდადოვს ჩამოუთვლია თავის წერილში, სახელდობრ: სპენსერი, ჰექსლი და ჰეკკელი. ეხლა ვიკითხოთ: როდის გადავარდა თუნდ ამათი ავტორიტეტობა? ნეტა როდის შეჰმუსრა ამათი სახელი და ნდობა ან ბ-ნმა ხუდადოვმა და ან სხვამა? და თუ შეჰმუსრა, აქედამ სხვა არა გამოვიდოდა-რა, რომ შემუსრვილის მაგიერ შემმუსრველი ჩადგებოდა; მაშასადამე, ავტორიტეტობა მაინც ავტორიტეტობად დარჩებოდა, თუმცა ეხლა სხვა კაცის სახელს დაირქმევდა.

რა არის ბ-ნ ხუდადოვის მიერ ამ შემთხვევაში ხსენებული „თაყვანის-ცემა“ თუ არ ისა, რომ კაცი გავლენიან სახელოვანობას სპენსერისას, ჰექსლისას, ჰეკკელისას და მათთა მიმართ ნდობას აღიარებს მით, რომ იგინი უფრო შეუცდომელნი ჰგონია, ვიდრე, მაგალითად, რედაქტორი „ივერიისა“, ან თუნდა თვითონ ბ-ნი ხუდადოვი? ნუ თუ ამას უგუნურობად ჩასთვლის ვინმე! იქნება ეგეც მოხდეს, მაგრამ ეს სასაცილო ჩათვლა მოსალოდნელია ამ შემთხვევაში მარტო ორის კაცისაგან: «ივერიის» რედაქტორისა და ბ-ნ ხუდადოვისაგან, ისიც უსათუოდ მაშინ, თუ ერთსაც და მეორესაც აბრუ გასიებული ექმნებათ იმ ერთ ნაირ ავადმყოფობისაგან, რომელსაც ამაო თავ-მოყვარეობას, ტყუილს აბრუს ეძახიან და რომელსაც წამალი არა აქვს. მაშ რად მიაჩნია თაყვანის-ცემა სპენსერისა, ჰექსლისა და ჰეკკელისა უგუნურობად ბ-ნ ხუდადოვსა? ამისი თქმა და იმისი, რომ სპენსერს, ჰექსლს და ჰეკკელს ნურას დაუჯერებთო—ხომ ერთი და იგივეა. ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს,—და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქმნებაო. მაშ ყველაფერი, დავიჯეროთ ამათიო, იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ.

დღეს რომ კრიტიკას თავისუფალი გზა და მსვლელობა აქვს და რა ავტორიტეტიც გინდა იყოს, კაცი არ ერიდება კრიტიკის ქარ-ცეცხლში გამოატაროს—ნუ თუ ბ-ნი ხუდადოვი ამაში ჰხედავს ავტორიტეტების მიმართ თაყვანის-ცემის უგუნურობასა! კრიტიკით და მთელის დღევანდელის მეცნიერობის ძალით რომ იერიში მიიტანონ, ვსთქვათ, ჰექსლსა და ჰეკკელზედ, ნუ თუ ჰგონიათ, რომ ამით მათი ავტორიტეტობა დადნება, შეიმუსრება და არა უფრო შემოწმდება, გამართლდება და მით უფრო თაყვანის-ცემა არ მოემატება ერთსაცა და მეორესაც! განა სასაცილო არ იქნება, რომ კაცს თაყვანისცემა სწორედ მაშინ მოაკლო, მისი სახელი მაშინ შეჰმუსრო, როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა. აქ, პირ-იქით, ავტორიტეტობამ უფრო უნდა იმატოს, თაყვანის-ცემა და პატივი უფრო უნდა გაძლიერდეს. სწორედ ესეც არის ამ წუთის სოფელში და არ ვიცით,—ეს ამბავი რად უნდა მიაჩნდეს ვისმე უგუნურობად,—და თუ მიაჩნია, ეგ ახალი კი არ არის, ძალიან ძველის-ძველი ამბავია და სახელადაც დონკიშოტობა ჰქვიან. ვიდრე კრიტიკას არ გაუმტყუნებია ავტორიტეტად ცნობილი კაცი, მის ავტორიტეტობას ვერავინ შეჰმუსრავს მარტო იმით, რომ დილიდამ საღამომდი და საღამოდამ დილამდე იძახოს ბ-ნ ხუდადოვისავით: მე უგუნურობად მიმაჩნია ავტორიტეტს თაყვანი ვცეო.

სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს იგი სახელი და თაყვანის-ცემა, რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობა ჰგონია. კაცობრიობა არ შეუშინდა ბ-ნ ხუდადოვის მკაცრს განაჩენსა და მისგან უგუნურობის დარქმევა იკისრა და ის კი ვერ უარ-ჰყო, რომ ქვეყანაზედ სანდო მეცნიერნი არიან და მერე ღირსნიც თაყვანის-ცემისა.

დავანებოთ ამას ყველაფერს თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ვითომ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ, რომ თვითონ დიდნი ბრძენნი, უდიდესნი მეცნიერნი და ავტორიტეტები ხშირად სხვა ავტორიტეტებს იმოწმებენ ხოლმე? რომელიც გნებავთ წიგნი აიღეთ დიდის მეცნიერისა, ძნელად შეხვდებით იმისთანას, რომ ერთი მეორეს არ იმოწმებდეს,—ნუ თუ ამისი მომქმედნი ყველანი უგუნურები არიან, რომ ასე თაყვანს სცემენ ავტორიტეტსა! აი თუნდა ჯონ სტუარტ მილლი, სახელოვანი მეცნიერი, რომლის წიგნიც ამ ჟამად ხელში შეგვხვდა,—ერთს ადგილას რას ამბობს თავის აზრის დასამტკიცებლად: მომყავსო

„მოწმობა სისმონდისა, რომელსაც სხვა მწერლებზედ მეტი უპირატესობა იმითი ეკუთვნის, რომ ყველაზედ ზედ-მიწევნით და დაახლოებით იცის საქმეო“.

ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, ჯონ სტუარტ მილლი დიდი უგუნური კაცი ყოფილა, რომ ამისთანა თაყვანი უცია ავტორიტეტად ცნობილისათვის. რა მილლი? განა სხვა სახელ-გათქმულნი მეცნიერნი კი ცოტანი არიან, რომ სხვის საავტორიტეტო სიტყვით აძლიერებენ, ამტკიცებენ თავიანთ აზრსა და ზოგჯერ უამისობას ვერსად ვერ წასვლიან! მაშ ესსულ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ! მაშ ჩვენზედ უფრო მეტს მცოდნეს, ჩვენზედ უფრო მეტის ზედ-მიწევნით მკვლევარს აზრისას, მერე იმისთანას, რომელიც მთელის ქვეყნიერობისაგან უკეთეს მცოდნედ და უკეთეს მკვლევარად ცნობილია და გათქმული,—ფასი აღარ აძევს და ვინც ფასსა სდებს, იგი უგუნურია! ამისი მთქმელი და იმისა, რომ ჩემზედ ჭკვიანი, ჩემზედ უფრო მცოდნე ქვეყანაზედ არავინ არისო,—განა ერთმანეთზედ ძალიან შორს იქნებიან!

თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაყინებაა კარგი იმისი, რომ დიდ სახელოვანის, სახელ-გათქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანის-ცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანის-ცემა თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთითა. სხვამ რაც უნდა გვიყინოთ და თუ ერთსა და იმავე საგანზედ ჰექსლი ერთს ამბობს და თუნდ, მაგალითად, ბ-ნი ხუდადოვი სხვას, იცოდეთ, რომ უგუნურობაში არავინ არ ჩამოგართმევთ, თუ ჰექსლს უფრო დაუჯერებთ, ვიდრე ბ-ნს ხუდადოვს. თუ თქვენის აზრის გასამართლებლად ჰეკკელს იმოწმებთ ბ-ნ ხუდადოვის წინააღმდეგ, ან თვითონ ბ-ნ ხუდადოვისაგან დაწუნებულ სპასოვიჩსა სასისხლო რჯულიერობის მეცნიერებაში,—არც ეს იქნება ახირებული სულელობა. შესაძლოა გვითხრან: განა ბ-ნ ხუდადოვს არ ძალუძს ჰექსლს, ჰეკკელს აჯობოსო. შესაძლოა, რადგანაც მჯობს მჯობი არ დაელევა, მაგრამ მინამ ბ-ნი ხუდადოვი ამას იქმოდეს, იმ დრომდე—ნურას უკაცრავად, რომ ჰექსლი, ჰეკკელი ავტორიტეტად ვიცნოთ და თაყვანი ვცეთ მარტო იმით, რომ მათი სიტყვა უფრო ვიჯეროთ, თუ აშკარა საბუთი არ გვექნება დასარღვევად.

ეს ამისთანა ლახტის ქნევა ავტორიტეტების შესამუსრავად ცხონებულ პისარევის შემდეგ შემოვიდა რუსეთში; ცოტა ხანს იფარფაშა და მერე აპრიალებულ ჩალასავით ჩაჰქრა და დღეს ამის გამო მარტო ჩვენ და ბ-ნი ხუდადოვიღა ვლაპარაკობთ მთელს ქვეყნიერობაზედ, სხვისათვის კი აქ საკამათო აღარა არის-რა. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელისამე მეცნიერის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო დასაჯერი და ამ მოწმობას ქვეყანაზედ არავინა ჰთაკილობს იმის შიშით, რომ ბ-ნი ხუდადოვი უგუნურობას დამწამებსო.

ხოლო პისარევის სახელის ამ მხრით შეუბღალველობისათვის ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იგი სრულად იმას არა ჰქადაგობდა, რასაც დღეს ბ-ნი ხუდადოვი გვეუბნება ავტორიტეტის შესახებ. მარტო უვიცობამ წაართვა სადავე კაცსა და პისარევის მოძღვრება ამ საგნის თაობაზედ ჰერკულესის სვეტებამდე მიიყვანა. აქ პისარევს არავითარი ბრალი არა აქვს.

ავტორიტეტობა ყოველთვის იქნება მეცნიერობაშიაც და ცხოვრებაშიაც. სნეული რომ მკურნალს მიჰმართავს ხოლმე,—როგორც ჰგონია ბ-ნს ხუდადოვს—რა მოქმედობს აქ თუ არ რწმენა, რომ მკურნალი მკურნალობის უკეთესი მცოდნეა და ეს რწმენა რა არის თუ არ იგივ ავტორიტეტობა კაცისა, რომელსაც მკურნალობაში იმოდენა უკეთესობის სახელი და ნდობა მოუპოვებია, რომ ეს სახელი და ნდობა ყველასათვის საკმაო თავ-მდებია მისის ამ საქმეში უპირატესობისა? მოდით და ამას იქით სულელი დაუძახეთ მას, ვინც ამ შემთხვევაში მკურნალს ენდობა და უჯერებს. თუ გვკითხავთ, იგი „კერპთ მსახურება“ და იგი „თაყვანის-ცემა“, რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია, აქ უფრო საგულისხმოა, რადგანაც ამ შემთხვევაში ბრმად დანდობას, ბრმად დაჯერებას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე სხვა რაშიმე და თითქმის აუცილებელიც არის. მაშასადამე იგი ნდობა და დაჯერება რომელიც კაცს მკურნალისაკენ იზიდავს, ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, „კერპთ-მსახურებაა“, რომელიც დიდი ხანია გადავარდნილა და „ბობოლაების თაყვანის-ცემა“, რომელიც ბ-ნს ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია. სხვა მეცნიერთ ვიდასჩივის, ვაი მკურნალთა, თუ ეს მართლა ასეა ქვეყნის საუბედუროდ.

*) არის კიდევ ერთ-გვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული. ამ გვარს ავტორიტეტობას აქ არ ვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს საბაასო საგანთან არავითარი კავშირი არა აქვს.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ საქალებო ინსტიტუტის მასწავლებელი ბ-ნი ნ. ზ. ცხვედაძე, რომელიც კვირაობით ლექციებს კითხულობს საპედაგოგიო საგნებზე მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წევრთათვის, ოთხშაბათობითაც ისაუბრებს ხოლმე ამავე საზოგადოების წევრებთან საპედაგოგიო პსიხოლოგიაზედაო.

*** იმ საყმაწვილო ჟურნალს, რომლის ბეჭდვის ნება-რთვა ითხოვეს ჩვენში, სახელად ერქმევა „ნერგი“. ამ ჟურნალის რედაქტორად ასახელებენ ბბ-ნთ მ. ქართველიშვილსა და ვ. რცხილაძეს.

*** ბ-ნ არტურ ლეისტისაგან გერმანულად ნათარგმნი ქართული ლექსები ჩვენის პოეტებისა უკვე დაუბეჭდიათ ლეიპციგში. ჩვენ ეს წიგნი უკვე მოგვივიდა. სახელად ეწოდება „Georgische Dichter“—ქართველი პოეტები. წიგნს პატარა წინა-სიტყვაობა აქვს. მშვენივრად არის დაბეჭდილი და სულ 150 გვერდია. ჯერ-ჯერობით ტფილისში არ მოსულა ეს წიგნი გასასყიდად და, როგორც შევიტყეთ, ბევრს ფული გაუგზავნია და ლეიპციგიდგან დაუბარებია.

*** 18 მარტს, ოთხშაბათს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ბ-ნი სტრუვე წაიკითხავს მესამე უფასო ლექციას ფილოქსერაზედ. ლექციის პროგრამა ასეთია: ღვინის კეთებისა და ვაჭრობის დაცემა საფრანგეთში ფილოქსერის გაჩენის გამო და გაძლიე-

რება ღვინის მოყვანისა და ვაჭრობისა ევროპის სხვა სახელმწიფოებში.

⁂ შაბათს, 14 მარტს, ვიღაც სცენის მოყვარეთაგან ზანკის თეატრში ცხოველი სურათები იყო გამართული „ვეფხვის-ტყაოსნიდგან“, „განდეგილიდგან“, „თამარ-ლაზნელიდგან“ და „სამშობლოდგან“. ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ თვით სურათები მეტად ულაზათოდ და უხამსად იყო დადგმული: არც რიგიანი განათება, არც ტანისამოსი, არც სხვა-რამ ღირსება არ ჰქონია ამ ცხოველს სურათებს, ასე რომ ცხოველი-კი არა, სწორედ მკვდარი სურათები გამოვიდა. დამსწრე საზოგადოება ჩიოდა და უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ ასე უმართებულოდ მოექცნენ ეს ვიღაც ვითომდა სცენის მოყვარენი თავიანთ მოვალეობასაც და თვით საზოგადოებასაცაო.

⁂ კვირას, 15 მარტს, იმავე თეატრში დანიშნული იყო კონცერტი ბ-ნ ელ. აღნიაშვილის ხოროსი, მაგრამ რადგან საზოგადოება ნაკლებად მოვიდა, კონცერტი სხვა დროსთვის გადაიდო. დიდად სამწუხაროა, რომ ასეთი კარგი საქმე, როგორიც არის ქართულ საერო სიმღერების აღდგენა და ნოტებზე გადაღება, ასე მცირე თანაგრძნობას იზიდავს ჩვენის საზოგადოების მხრით.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ გაზ. „თეატრის“ რედაქტორობა ბ-ნს აბაშიძეს გადაუცია ა. ნებიერიძისათვის, რომელიც ამ ორის წლის წინადვე ქართულის თეატრის ანტრეპრენიორად იყო. ბეჭდვის საქმეთა მთავარ სამართველოს შეუწყნარებია თხოვნა „თეატრის“ წინანდელის რედაქტორისა და ბ-ნი ა. ნებიერიძე დაუმტკიცებია ამ გაზეთის რედაქტორადა და გამომცემლად. პირველი ნომერი ამ გაზეთისა ბ-ნ ა. ნებიერიძის რედაქტორობით გამოვა მომავალს კვირას, 22 მარტს. ამ ნომერში იქნება დაბეჭდილი სურათი დიდის მოურავის გიორგი საკაძისაო.

⁂ კახეთის ყველა მხრიდამ მოგვეიდა ამბავი, რომ ამ მარტში იქითკენ თითქმის ყველგან დიდი თოვლი მოსულა. მარტის პირველს რიცხვებში კარგი დარი იდგა, თითქმის ცხელოდა, ზოგი ხეხილი აყვავდა და სწორედ ამ დროს ასტყდა ცივი ქარი, რომელსაც დიდი თოვლი მოჰყვაო. კარგი კიდევ, რომ წინანდელმა სითბომ და კარგმა დარმა ვაზს კვირტი არ გამოაღებინა, თორემ დაიღუპებოდა ჩვენი მხარე და ვენახებს სულ წაგვიხდენდა დღევანდელი თოვლი და ყინვაო.

⁂ სიღნაღის მაზრიდამ გვწერენ, რომ აქეთკენ ძალიან ნაკლებად გვყავს ექიმები და ამის გამო ამ მაზრის ხალხი ძალიან შეწუხებულია. ნასწავლი ბებია-ქალი ხომ სულ არ მოიპოვებაო. ნასწავლი ბებია-ქალი არ არის აგრეთვე თელავის მაზრაშიო.

⁂ იმერეთიდამ გვწერენ, რომ აბაშაში შემდეგი საზარელი მკვლელობა მოხდაო: თებერვლის 28-ს ერთის აქაურის მცხოვრების შვილმა, გვარად კაჭარავამ, ასე თორმეტის წლისამ, უცაბედად მოჰკლა თავისი გასათხოვარი ღვიძლი და. ყმაწვილი სადღაც იყო და როცა მოვიდა შინ, სტოლზედ რევოლვერი დაენახა და დაეწყო სინჯვა. დას დაეძახნა, რომ მარცხი არა მოგივიდეს-რა და თავი დაანებეო. ამ დროს გავარდნილა რევოლვერი და წარბში მოჰხვედრია ტყვია საცოდავს 14 წლის ქალს. ორი საათი აღარ უცოცხლია და საცოდავს საშინელის ტანჯვით დაულევია სული.

⁂ იმერეთიდგანვე გვწერენ: ძალიან გაგვიჭირა საქმე წრევანდელმა ზამთარმა. აქამდე რაც იყო იყო, კიდევ მადლობა ღმერთს, მაგრამ ამ მარტმა ვერ დაგვმართა კარგი საქმე: ჯერ კარგი ამინდი დაიჭირა და 9-ს კი ისევ დაიწყო თოვლა და წვიმა. დადგა კვლავ სიცივეები, გზები გაგვიფუჭა და აგვიტალახა ყველგანაო.

⁂ აბაშიდგან გვწერენ: ამას წინად ერთს აქაურს გლეხს ბიჭია გაბილაიას მოუკვდა ცოლი. ტირილის დღეს, როცა ჭირისუფალნი სადილად ისხდნენ, უეცრად მოეკიდა ცეცხლი სახლს და ძლივს გამოასწრეს მიცვალებულიო. ხალხს ძრიელ შეეცოდა ორ ნაირად დაზარალებული მოძმე და მაშინათვე შეუდგნენ ფულის მოგროვებას ამ საცოდავისათვის. ზოგმა ერთი აბაზი შეეწია, ზოგმა მანათი, მაგრამ იმდენი-კი არა მოგროვდა-რა, რომ უსახლოდ დარჩენილი გლეხი გაჭირებიდამ გამოვიდესო.

⁂ გაზ. „კავკაზს“ სწერენ მცხეთიდამ, რომ 13 მარტს, ღამე, გასტეხეს მცხეთის მონასტერი და სალარო გაჰქურდესო: მოიპარეს ყოველივე ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რაც-კი სალაროში იყოვო. დუშეთის მაზრის უფროსი ძალიანა ცდილობს ქურდების დაჭერასა და ნაქურდალის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნო ქურდების კვალსაო.

⁂ სტამბოლიდამ სწერენ გაზ. „Politische Korrespondenz“-ს: მცირე აზიაში, საბანჯოს ახლო, ორის სოფლის მცხოვრებლებს ჩხუბი მოუვიდათ ერთის ნაჭერის მიწის გამო. ერთის სოფლის მცხოვრებლები ჩერქეზები არიან, მეორესი-კი — ქართველები. ჩხუბთან დიდი შეტაკებაც მოუხდათ. თებერვლის 23-ს ჩერქეზები დაეცნენ ქართველებს, რიცხვით 35 კაცს, და მთელის სამის საათის განმავლობაში დიდი სისხლის ღვრა და ბრძოლა ჰქონდათ. თუმცა ჩერქეზები ორჯელ მეტნი იყვნენ ქართველებზე, მაინც ქართველებმა გაიმარჯვესო. ორსავე მხრიდამ 20-მდე კაცია მოკლული და დაჭრილი. თუმცა პოლიცია ჩაერია ჩხუბში დასამშვიდებლად, მაგრამ ვერა გააწყო-რა. შიშობენ, რომ ვაითუ ხელ-ახლად მოხდეს არეულობა ქართველებისა და ჩერქეზების შორის, თუ ოსმალეთის მთავრობა დროზე არ უშველის ამ საქმეს და საბანჯოში ჯარს არ გაჰგზავნისო.

⁂ სოფ. შილდიდამ (თელავის მაზრაშია) სწერენ „კავკ. მიმოხ.“-ს: თავ. გურგენიძის მამულში, ჩელთის წყაროს ახლოს, ერთს გლეხს უპოვნია მიწაში ჩამარხული ერთი სამ ჩაფიანი ქვევრი. ქვევრს პირზედ ჯვარი ედვა და ძველის ვერცხლის ფულით იყო სავსეო. ამ გლეხს ქვევრი გაუტეხნია, ფული ამოუღია და დაუმალავს; ადგილს ეტყობა, რომ ქვევრი ამოუღია ვიღასაც და ისიც კი სჩანს, რომ ქვევრში ფული ყოფილაო. ამ საქმეზე ფიცხელი გამოძიება სწარმოებს თურმე. სოფელი შილდა დაღესტნის მთის ძირში მდებარეობს; ძველად ხშირად ესხმოდნენ ამ სოფელს ლეკები და ვინ იცის, იქნება ეს ქვევრიც მაშინ არის ჩამარხული მიწაშიო. საზოგადოდ, აქეთკენ მიწაში ბევრს ნივთებსა ჰპოულობენ ხოლმე ძველის-ძველად შიშიანობის დროს ჩამარხულსაო.

⁂ გაზ. „კავკ. მიმოხ.“-ს სწერენ გურიიდამ, რომ სუფსა ძალიან მოვარდაო. ამას წინად, სახელდობრ, 3-ს მარტს, ერთი გურული, რომელიც ჯორით შევიდა სუფსაში და უნდა გასულიყო, დაირჩო ამ ადიდებულს მდინარეშიო. გვამი დამრჩვალისა ჯერაც ვერ უპოვნიათ, თუმცა ბევრი ეძებესო.

## ბამბის მოყვანა *)

ბამბის მოყვანა შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც თბილა და ზაფხული ხანგრძლივია. ერთის სიტყვით, იქ, სადაც თითქმის 7-ის თვეის განმავლობაში სითბო ტრიალებს. ამერიკელები ბამბას «მზის შვილს» ეძახიან. მართალია, ხან-დის-ხან ჩვენს ქვეყანაში მცენარეს აპრილში ან მაისში ყინვა დაჰკრავს ხოლმე, მაგრამ ამ გვარი მცირეს-ხნით მოვლენილი სიცივე სრულიად არ აწყენს ხოლმე ბამბას. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში ძრიელ გავრცელებულია ბამბის მოყვანა და უმეტესს ნაწილს ბამბის პლანტაციებისას ხან-დის-ხან ყინვა დაჰკრავს ხოლმე, მაგრამ ამის გამო ბამბის მცენარე მაინც არა ფუჭდება.

რაც შეეხება ნიადაგს, ამ მხრივ ბამბა ხეირობს თითქმის ყოველ გვარს მამულში, სადაც-კი შესაძლებელია კაცმა მოიყვანოს რამე. ბამბა კარგად მოდის იმ გვარს მიწებში, რომელშიაც შეიძლება პურისა, სიმინდისა და სხვა ამ გვარის მცენარეების მოყვანა. ბამბა არა თხოულობს დიდს სინესტეს და, როგორც მოვიხსენეთ წინა წერილში, შეუძლიან აიტანოს 5–6 თვეის გვალვა. ბამბის დასათესად მიწა ღრმად უნდა მოიხნას, ერთის ჩარექის სიღრმეზე; რამდენიც ღრმად მოიხნის მიწა, იმდენი უფრო ცოტა სინესტეს მოითხოვს და დიდს გვალვას აიტანს, იმიტომ რომ ღრმად მოხნულ მიწაში დადგმული ფესვი უფრო კარგად ამოსწოვს დედა-მიწიდამ სისველეს, ვიდრე არა-ღრმად მოხნულში. არა-ღრმად მოხნულის მიწის ქვეშ არის ყამირი მიწა. ყამირის მიწიდამ ნორჩი ფესვი სრულიად ვერ ახერხებს სინესტის ამოწოვას. იმისთანა მამულებს, რომელსაც უსასუქოდ ვერ მოჰყავს კარგი მოსავალი, ბამბის დათესამდე პატივი უნდა დაეყაროს.

ბამბა უნდა დაითესოს ან აპრილში, ან მაისის დამდეგს, მაგრამ მთესველმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მიწა არც ძრიელ ცივი იყოს და არც ძრიელ გამშრალი. მსუქანსა და ნაყოფიერს მიწაზე შეიძლება გვიან დაითესოს, იმიტომ რომ მსუქანს მიწაში მალე გაიზდება მცენარე, მაგრამ, თუ მამული მწირია, მაშინ უსათუოდ ბამბა ადრე უნდა დაითესოს, იმიტომ რომ მწირს მამულში მცენარე უფრო დაყოვნებით იზრდება, ვიდრე მსუქანს მამულში. ჩვენში დღიურის დასათესად უნდებათ 5 ფუთიდგან 7 ფუთამდე ბამბის თესლი, მაგრამ ამდენი თესლი სრულიად საჭირო არ არის; საკმაოა, რომ დღიურზე ფუთ-ნახევარი, ან ორი ფუთი დაითესოს. ბამბა უნდა ლარზე, მწკრივად დაითესოს.

სადაც დიდი სიცხე იცის, იქ ბამბის მცენარე ახლო-ახლო უნდა იყოს, რომ მზემ ძალიან არ გააშროს მიწა. ქვიშიანი ადგილებიც მალე შრება, ვიდრე ლამი ადგილები და ამიტომ ქვიშიან ადგილებშიაც ახლო-ახლო უნდა იყოს დარგული ბამბის მცენარე. ყველა მცენარეს უნდა ეჭიროს 6—8 ოთხ-კუთხი გოჯი. ერთის მწკრივიდგან მეორე მწკრივამდე ერთი ადლი მანძილი უნდა იყოს. შეიძლება პატარა კვალი გაიჭრას, შიგ თესლი ჩაიყაროს და შემდეგ ნახევარ ანუ ნაოთხალ გოჯზე მიწა წაეყაროს, ანუ მწკრივად პატარ-პატარა ორმოები ამოითხაროს და შიგ თესლი ჩაიფლას. ზევიდგან ნახევარ გოჯზე მეტი მიწა თავის დღეში არ უნდა დაეყაროს. თუ ვინიცობაა მამულში თხლად ამოვიდა ბამბის მცენარე და ამ გვარი სითხელე ნიადაგის თვისებას არ შეჰფერის, მაშინ აქა-იქა ხელ-ახლად უნდა დაითესოს.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 55.

## დღიური პროვინციელისა

როგორც დაინახავდა მკითხველი, ჩვენი დღიური ასურათებს საყურადღებო ამბებს, ამოკრეფილს „ივერიიდგან“. დღევანდელს ჩემს დღიურში ცოტა არ იყოს უნდა გადავუხვიო გზას. საქმე იმაშია, რომ „ივერიაში“ ხშირად შემხვედრია ლაპარაკი სასოფლო დეპოებზე, მაგრამ ისე, კილოკავად, გაკვრით. ამ გვარს ლაპარაკს ამ საყურადღებო საგანზე ცოტა არ იყოს მარილი აკლია. ბატონო, სულ იმას სწერენ, რომ დეპო საჭიროაო, და თუ როგორ, რად, საიდგან? ამას კი არ გვაუწყებიან. ყოველს საგანს ლაპარაკისას სათავე უნდა უპოვოს კაცმა: რა ნიადაგზე ამყარებ იმ აზრს, რომ ჩვენთვის სასოფლო დეპო სასარგებლოა. ამიტომ დღევანდელს დღიურში მინდა მასალათი, მაგრამ „სადღიურო“-კი იმაზე,—თუ რად უნდა იყოს ჩვენთვის საზოგადოდ დეპო საჭირო და სასარგებლო.

⁂

ყოველი სოფელი, ყოველი დაბა ერთს ადგას დაბინადრებულს, დაბინავებულს საზოგადოებას წარმოგვიდგენს. ამ გვარად დაბინავებული საზოგადოება—სოფელი—დაბა—ნაწილია საზოგადო ტერიტორიისა, ქვეყნისა, რომელიც ბინად ამოურჩევია ერთის გვარისა, ენისა და სარწმუნოების ერს.

როგორც კერძო კაცს, ისე სოფელს, თემს, საზოგადოებას ათას გვარი მოთხოვნილება აქვს. ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ჭირი და ლხინი, ავი და კარგი და სხვა. საჭმელ-სასმელს ბუნება მზად არ გვაძლევს, არც გვაცმევს — გვახურავს. ყოველივე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ათას ნაირი მასალა—იარაღები. ამ მიზეზით სჩნდებიან: მჭედელი, ნალბანდი, მექვაბე, მეჭურჭლე, მეფურნე, მეფართლე, მედუქნე, ხურო, კალატოზი, ოქრო-მჭედელი, ზარაფი და სხ. სოფელს, როგორც ბინადართა კრებას, არ შეუძლიან იცხოვროს უამათოდ. თუ სოფელს ყველა ეს საჭირო ხელოსნები ჰყავს, ხომ რა კარგი, თუ არა და სოფლის ბინადარი მიდის და ჰპოულობს საჭირო ხელოსანს, რომელსაც უცვლის თავის ნაწარმოებს საჭირო იარაღზე—მასალაზე. ამ გვარად დაკვირვებაა საჭირო ცხოვრებაზე, რომ კაცმა რამე საზოგადო მოვლენას, კანონს მიაგნოს.

⁂

ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში მქონია შემთხვევა ამ მხრივ მეთვალყურნა ცხოვრების მიმდინარეობისათვის. ამ მხრივ ლიხთ-იმერი საქართველო სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს, ვიდრე ლიხთ-ამერი. ავიღოთ სანიმუშოდ ხონი, სამტრედია, მარტვილი, ლანჩხუთი, სენაკი, კულაში, ჯიხაიში. ვინ არის ხონში მეტყავე? — ბინადარი ხონელი. მეფურნე? ხონელი. ნალბანდი?—ბინადარი. მჭედელი?—ბინადარი. მიკიტანი, ზარაფი, დურგალი, ხურო, კალატოზი, თერძი, ოქრო-მჭედელი, მექვაბე?—ბინადარი და ბინადარი. ავიღოთ მარტვილი. აქაც იგივე სურათია. ლანჩხუთი, ჯიხაიში, სამტრედია, სენაკი? ყველგან ბინადარი. აქედგან აი რა დასკვნა გამომყავს: ხონში ყოველისფრის ვაჭარი — ბინადარი იმერელია, მარტვილში—ბინადარი მეგრელი, ლანჩხუთში—გურული. ამ გვარად საქმის დაჭერა სწორედ ის არის, ჩვენში რომ იტყვიან, „დუღმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“. ქვეყნის სიმდიდრე, თემის შეძლება თემსავე უბრუნდება, მის კარ-მიდამოს ხმარდება. ამ გვარი შეძლება საზოგადოებაში ტრიალებს, სხვაგან არ მიდის. შემძლებელი მეზობელი სხვასაც შეაძლებინებსო, „ლიტრიანი კაცი ჩარექიანის ბოძიაო“ იტყვიან ჩვენში და გონივრულადაც ამბობენ!

როგორ იქცევა ახლა ის სოფელი, სადაც არ მოიპოვებიან ის ზევით ნათქვამი ხელოსნები?—ასე და ამ გვარად:

აქ შემოუღიათ ქვეყნის-ქვეყნად ერთი დალოცვილი ჩვეულება: პარასკეობა; პარასკეობით მთელი სოფელი მიესწრაფება სავაჭრო ცენტრებისკენ. აქ თავისისავე ხელით ჭედის მწარმოებელი თვის ნაწარმოებს: წინდას, პაჭიჭებს, საქალმეს, აპეურებს, ყაბალახს, ჩოხას, აბრეშუმს, საჩოხეს, დარაიას, ბატს, იხვსა, შუშას, ბოსტნეულობას და სხ. სად არის აქ ვაჭარი?—არსად. აქეთ ამ გვარი წოდება ცხოვრებას არ დაუბადავს. აი რით აიხსნება ის საკვირველი მოვლენა, რომ აქეთ, ლიხთ-იმერეთში, ფეხი ვერ მოუკიდნიათ იმ ვაჭრებს, რომელთაც ჩაუგდიათ ხელში ვაჭრობა ლიხთ-ამერ საქართველოში — ქართლ-კახეთში. რას გაჰყიდის ქართლელი ვაჭარი აქა? აქაური ვაჭარი თვით ბინადარია. თუ იმას ვიტყვით, რომ უგზო-უკვლობა ხელს უშლის ქართლ-კახეთის ვაჭრებს აქეთ სიარულსაო, ამას წინააღმდეგ იმას ვიტყვი, რომ ონი, დაბა რაჭისა, ისეთი ადგილია, რომ ზამთარში ყორანიც ვერ მიფრინდება იქა, მაგრამ ქართლ-კახეთის ვაჭრებს აქაც კი დაუბუდნიათ და ხონში კი ვერ გაუწყანებიათ! რადა? იმადა, რომ რაჭველი იგივეა ყოველ შემთხვევაში, როგორც ბინადარი ქართლ-კახელი. ამის გაპარსვა ადვილია. კულაშში დღემდის სცხოვრობენ რამდენიმე ისრაელნი, მაგრამ აბა უყურეთ ამათაც და ცხინვალის ისრაელებსაც. დიდი განსხვავებაა მათ შორის. აქაური ისრაელი ისე ვერ ისეირნებს ბოხჩებით დატვირთულის ცხენით, როგორც ცხინვალელი ურია, რომელსაც მთელი ქართლი ფეხ-ქვეშ აქვს ამოდებული. როდესაც იცის სოფელმა, რომ პარასკეობით ბაზრობაა, რად უნდა მაშინ ამას მაწანწალა-მატყუარა-ქლესა ჩარჩი-ვაჭარი?

ლიხთ-ამერი საქართველო, ტფილისის გუბერნია, სულ სხვაა ამ მხრივ. აქ ავიღოთ უმთავრესი სავაჭრო ბაზრები. ჯერ ქართლს გადავავლოთ თვალი. მთელი ქართლი ზემო და ქვემო გავყოთ უმთავრესს სავაჭრო ძარღვებად: ქსნის ხეობა, მტკვრის ხეობა, ლიახვის ხეობა. ქსნის ხეობის უმთავრესი სავაჭრო ცენტრები არიან: მონასტერი, რომელსაც ორი დიდი ხეობა არტყია, ქსნისა და ცხრაძმულისა, ახალ-გორი, მუხრანი. მთელის ქსნის ხეობის სიმდიდრე აქ იყრება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედგან მიდის გორს, ტფილისს, დუშეთს. არც მჭედელი, არც მედუქნე, არც მეფართლე ბინადარი არ არის. სოფლებმა არა იციან-რა ბაზრობისა. ესე და ამ გვარად იწოვება ქსნის ხეობის სიმდიდრე. აქაც რო ისე ყოფილიყო მოწყობილი საქმე, როგორც ჩვენ ვნახეთ ლიხთ-იმერეთში, მაშინ ხეობის დოვლათი ბინადართა დოვლათი იქნებოდა. ლიახვის ხეობას სწუწნიან ცხინვალი და გორი. აქაც იგივე სურათი მეჩხირება თვალებში, როგორც ქსნის ხეობაში. მტკვრის ხეობა სურამის, ქარელის და ახალ-ციხის ხელშია. კახეთი ხომ თელავსა და სიღნაღს დარჩენია. ამ გვარად მკვიდრთა სიმდიდრე მათ შორისვე აღარ რჩება, იქსაქსება. აი რისთვის არის საჭირო დეპო. ამ გვარი დაწესებულება დოვლათს არ ართმევს, არ უფუქსავატებს ბინადარს. განსაკუთრებითი მნიშვნელობა დეპოსი იმაშია, რომ იგი შეაჩვევს ქართლ-კახელს ბაზრობას, ამ ფრიად მჭირფასს ჩვეულებას, რომელიც ასე მშვენივრად მოთავსებულია იმერთ საზოგადოებრივს ცხოვრებაში.

ბათუმელი

## პატარა მოთხრობა

(პოლშურიდამ)

ჩვეულებრივად სალამოობისას ჩემთან შემოივლიდა ხოლმე ჩემი სასწავლებლის ამხანაგი. ჩვენ ორივენი სოფლადა ვცხოვრებდით, სულ რამდენისამე ვერსტის მოშორებით ერთი მეორისაგან და თითქმის ყოველ-დღე ვინახულებდით ხოლმე ერთმანერთსა. ჩემი ამხანაგი თეთრი სახისა იყო და ისეთი მაყვალივით თვალები ჰქონდა, რომ არა ერთს ქალს აუძგერებდა გულს, ჩააფიქრებდა და დაატყვევებდა. მე ყოველთვის პატივსა ვცემდი ჩემს ამხანაგს და მიზიდავდა მისი მშვიდი და წყნარი ხასიათი და ჭკუა-დალაგებული მსჯელობა.

დღეს-კი შევნიშნე, რომ ჩემს ძვირფასს მეგობარს რაღაცა აწუხებდა და ამ ამბავმა ძალიან გამაოცა; იდგა, დედა-მიწაზედ იცქირებოდა და აღელვებით წალის წვერებს ჯოხსა სცემდა. მე მინდოდა აღელვების მიზეზი მეკითხნა, მაგრამ ვიფიქრე, ეაი თუ უზრდელობად ჩამომართოს-მეთქი და გავჩუმდი; მაგრამ თითონვე დამიწყო ლაპარაკი:

— იცი რა გითხრა, დღეს მე დიდი სისულელე ჩავიდინე. მე უფრო გაეოცდი; ვერ წარმომედგინა, თუ ისეთის მშვიდისა და წყნარის ხასიათის კაცს, როგორიც ჩემი მეგობარი იყო, სისულელის ჩადენა შეეძლებოდა.

— დღეს დილით, განაგრძო ჩემმა ამხანაგმა, — ჩვენს სოფელში ცეცხლი გაჩნდა; ერთის საწყალის გლეხის ქოხმახი დაიწვა...

— იქნება ცეცხლში შევარდი რისათვისმე?.. დავეკითხე დაცინვის კილოთი.

მხრები აიწია და, მგონი, ცოტათი წამოწითლდა.

— კანაფი ჰქონიყო ჭერში შენახული, ცეცხლი მოჰკიდებიყო ამ კანაფს და მერე სახლის ჭერსაც ბურბური დაეწყო. ამ დროს მე სახლში ვიჯექი და ერთს საყურადღებო წიგნსა ვკითხულობდი. რა-კი დავინახე, რომ ცისკენ ზოლ-ზოლად ბოლი ადიოდა, ცეცხლს სახლის რამდენსამე ალაგას გამოეხეთქნა და ჰახჰახი გაჰქონდა, ვიფიქრე, გავალ, ვნახავ რა ამბავიამეთქი და ზლაზვნით გამოვედი გარედ. სოფელი მინდვრად იყო გასული და მე რომ მივედი იმ სახლთან, რომელსაც ცეცხლი მოჰკიდებიყო, სულ რამდენიმე კაცი დამხვდა იქა: ორი დედა-კაცი მაღალის ხმითა ღრიალებდა და ერთი ვაი-ვაგლახი ჰქონდათ; დიაკვანს ხატი გამოეტანა ეკკლესიიდამ იმ იმედით, რომ ცეცხლი თავის თავად ჩაქრებაო და ერთ გლეხსაც კიდევ კასრი ეჭირა ხელში და ცეცხლს წყალს ასხამდა... რა საძაგლად იშენებენ ჩვენი გლეხები ქოხებს, ისე იწვის, ასე გგონია, თოფის წამალი არის-მეთქი, გამიელა თავში.

მართლაც, სულ ორი წუთი არ გასულა, რომ ერთი კუთხე ქოხისა ცეცხლ-მოდებული იყო: ბოლი თვალებსა გვწომდა და ისეთი ცეცხლის ალი გამოდიოდა, რომ შემეშინდა, ცეცხლი არ მომეკიდოს-მეთქი, და რამდენსამე ნაბიჯზე უკან გავდექი.

ამასობაში მოცვივდა მთელი სოფელი კეტებითა და ცულებითა, წყალი მოზიდეს; ზოგმა ლობეს დაუწყო მტვრევა, თუმცა ლობეს ფიქრი არა ჰქონდა და მთელ ქოხიც რომ დამწვარიყო, ცეცხლი არ მოეკიდებოდა; ზოგნი წყალს ასხამდნენ ვითომ ცეცხლსა, ვითომ ვამბობ იმიტომ, რომ უფრო ხალხი გაწუწეს, თორემ ცეცხლისათვის მგონი ერთი მუჭაც არ მოუხვედრებიათ. ასე წარმოიდგინე, ერთს დედა-კაცს იმდენი წყალი დაუშვეს თავზე, რომ საბრალო გულალმა წაიქცა და კინაღამ გულს შემოეყარა. მე ჩუმად ვიდექი, არაფერში არ ვერეოდი, რადგან ქოხს აღარა ეშველებოდა-რა და დანარჩენი ქოხები-კი ძალიან მოშორებით იდგნენ ამ ქოხისაგან და შიში არ იყო, რომ ცეცხლი გადასულიყო...

უცბად ხალხში ვიღაცამ წამოიძახა:

— ქოხში პატარა ყმაწვილიაო!

— სადა, სადაო? დაიგრიალა ხალხმა.

— გობში წევს, სარკმელთან; დროზედ უშველეთ, ქრისტიანები ვინა ხართ!..

ჰყვიროდნენ, ერთი ქლრიამული გაჰქონდათ და ალაგიდგან კი არავინ იძროდა. ბანი დაიწვა და კრამიტი ისე გახურებულიყო, რომ წითლადა ლაპლაპებდა.

გამოგიტყდები, როცა გავიგე, რომ ქოხში ყმაწვილი არისო, გულმა აჩქარებით დამიწყო ძგერა. ვიფიქრე: „თუ არავინ მიეშველება საბრალო ყმაწვილსა, მე უნდა შევარდე და გამოვიყვანო... მაგრამ ოჰ, ღმერთო, რა საშინლად დაცხა-მეთქი?!“

— რაღასა დგეხართ, ხალხნო! გაჰკიოდნენ დედა-კაცები, — კაცები არა ხართ, ქუდები არა გხურავთ, გამოიყვანეთ ი ყმაწვილი, ქრისტიანებო!

— მიდით და თქვენვე გამოიყვანეთ, თუ ჭკვიანები ხართო, დაიძახა ვიღაცამ: თავი ხომ არავის მოსძულებია, ვინ იცის რამდენი ხანია ყმაწვილი ბოლმა დაარჩო კიდეც.

„არავინ იძვრის — ვფიქრობდი: და მეც რაღასა ვყოყმანობ-მეთქი. თუმცა მეორეს მხრით რაღაცამ წამჩურჩულა: „გონს მოდი, რაზედ იმეტებ თავსა იმ ჭყლინტისათვის, ვინ იცის, მერე, მიაგნებ, იცი, საცა წევს ბავშვიო?“

კრამიტი დაიწვა, განახშირდა და მიწაზედ ცვიოდა.

— დროა-მეთქი, — ვიფიქრე — დრო ძვირადა ჰღირს. მართლაც და ისე უზიარებლადა ხომ არ დავწვავთ იმ ბედ-შავ ყმაწვილსა. — თუ მკვდარიაო, წამჩურჩულა შიშმა, ტყუილი ცდა და თავის მტერევა არ იქნება შენის მხრითაო?

შორიდგან მოისმა ვიღაცა დედა-კაცის საშინელი ძახილი:

— „ყმაწვილს, ყმაწვილს უშველეთ რამე!“

— დაიჭით, არ გაუშვათ! — მოისმა კიდევ: — არ გაუშვათ, თორემ ცეცხლში შევარდება და დაიღუპება...

ჩემს უკან ვიღაცა ბღაძუნობდა და სასო-წარკვეთილის ხმითა ჰყვიროდა: „გამიშვით!.. ჩემი შვილია, ჩემი!..“ „არ გაუშვათ, არაო!“ ჰყვიროდნენ მეორეები.

თავი ვეღარ შევიმაგრე და წინ გავარდი. გარშემო ცეცხლის ალი და ბოლი შემომეხვია, ქოხის ბანმა ჰაჭიჰუჭი დაიწყო; ცეცხლის ნაღვერდლები ცვიოდა მაღლიდგან და თავზე მეცემოდა. ვიგრძენ, რომ თმა ამეტრუსა და შეშინებული და გაჯავრებული უკანვე გამოვბრუნდი.

— რა სულელი ვარ-მეთქი, — ვფიქრობდი: თავს რად ვიფუჭებ ერთის პატარა ყმაწვილისათვის?.. ახლა იფიქრებენ, აი იმიტომ დაიხსნა ყმაწვილი ცეცხლისაგან, რომ დაიკვეხოს, ვითომ და გმირობა, ვაჟკაცობა ჩავიდინეო!..“

ამ დროს ვიღაცა ახალგაზდა ქალმა ხელი მკრა, გვერდზედ მიმაყენა და ქოხისაკენ გასწია. მოისმა რაღაცა ხმა, თითქო ფანჯრის მინა გასტეხა ვიღაცამაო, ქარმა დაუბერა, ბოლი გაჰფანტა და დავინახე, რომ ეს ქალი ქოხის ფანჯარასთან მისულიყო, თავი ქოხში გადაეყო და ისე გადაწოლილიყო, რომ ჭუჭყიანი ფეხები უჩანდა.

— რას ჩადიხარ, ხომ არ გაგიჟდი, გოგო?! — შევყვირე მე: — ვინ იცის, რამდენი ხანია დაარჩო ბოლმა ყმაწვილი, რაღას იპოვნი.

— იაგნა, სად მიხვალ, სადა! უყვიროდა ხალხი. ჭერი ჩამოიქცა და ნაპერწკლები წვიმის წინწკლებსავით გაიფანტა ჰაერში. ქალი ბოლმა ჩაიხვია და მე-კი თვალთ დამიბნელდა.

— იაგნა! დაიძახა კიდევ ვიღაცამ შესაბრალისის ხმით.

— ეხლავე! ეხლავე!.. უპასუხა ქალმა და უკან წამოვიდა. ხელში ყმაწვილი ეჭირა; საბრალო ბალღი გამოფხიზლებულიყო და მწარედ გაჰკიოდა.

— მაშ ყმაწვილი ცოცხალი ყოფილა-მეთქი? — ვიკითხე.

— დიაღაც ცოცხალიაო, მიპასუხა ქალმა და გვერდზედ გამიარა.

— ეგ ქალი ყმაწვილის და ხომ არ არის-მეთქი, ვკითხე ერთსა.

— რის და, სულ შეიდი უცხოაო; მიპასუხა ვიღაცამ: — სულ თხუთმეტის წლისა და სხვასთან არის მოსამსახურედაო.

— ხომ არა დაუშავდა-რა-მეთქი?

— არაფერი, მარტო თავზედ მოსახვევი და კავები შეიტრუსაო.

შენთან რომ მოვდიოდი, ვნახე ის გმირი-ქალი: ღერეფანთან იჯდა, კართოფილსა ჰფცქვნიდა და რაღაცას დაჰმღეროდა ყალბის ხმით. მინდოდა ქება მეთქვა, მაგრამ მომაგონდა მისი თავგანწირვა, მომაგონდა, რომ მე, ვაჟკაცი ცეცხლს შევუშინდი და თავი ვერ გამოვიმეტე, და ისე შემრცხვა იმ გოგოსი, რომ ენა ვეღარ დავძარი, ერთი-ორიოდე სიტყვა მეთქვა:

— ასეთები ვართ, ასეთები! — დაუმატა ჩემმა ამხანაგმა და ჯოხი მოუქნია მინდვრის ყვავილებს.

ცაზედ ვარსკვლავები გამოჩნდნენ; ცივი ნიავი ჰქროდა და ბაყაყების ყიყინის ხმა მოჰქონდა ჩვენკენ. ჩვეულებრივ ამ დროს შევხვდებოდით ხოლმე ერთმანერთს მე და ჩემი ამხანაგი და იმაზედ ვოცნებობდით, თუ როგორ უნდა გვეცხოვრა და ჩვენის კეთილ-დღეობისათვის გვეზრუნა, მაგრამ ამ დღეს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია, მუნჯებივით ვისხედით ორივენი.

ორ-ანი

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით საჯაროდ ავიარო თავიდგან ის ბრალი, რომელსაც მწამებენ. საქმე იმაში გახლავსთ, რომ 14 მარტს ბანკის თეატრში ცხოველი სურათები იყო გამართული თამაზიშვილის სასარგებლოდ, როგორც წარმოდგენის განცხადებაში ამოვიკითხე. რადგან თამაზიშვილს იმედი არა ჰქონია, რომ თეატრში ხალხი ბევრი მოვა, ამიტომ აი რა ღონისძიება უხმარია საზოგადოების მოსაზიდავად: ბილეთები დაურიგებია ჩემის სახელით და ეს ბილეთებიც ბევრზედ მიუდიათ. ამიტომ ვალად ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო საჯაროდ და ამით ბრალი ავიარო, რომ 14 მარტს საღამოს გამართულს ცხოველ სურათებში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც ბილეთები დამირიგებია ვისთვისმე.

ქართულის დრამატიულის დასის არტისტი
გლ. ალექსი-მესხიშვილი

ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი წერილი, რომელზედაც ასამდე მუშა და ხელოსანს კაცს უწერია ხელი:

„ბ-ნო რედაქტორო!

გუშინწინდელს თქვენს გაზეთში დაბეჭდილმა დეპეშამ, რომელიც თელავიდგან არის გამოგზავნილი, მოგვიტანა ფრიად სამძიმო და სამწუხარო ამბავი გლეხის იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების თაობაზედ. ტფილისის მდაბიო მუშა ხალხი სულითა და გულით მწუხარენი ვართ ჩვენის წრის საუკეთესო თანა-მოძმის და თანა-მემამულის, იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო. იოსებ დავითაშვილს ჩვენ ვიცნობდით, როგორც ჩვენთვის გულ-შემატკივარს, სიტყვით და საქმით ჩვენთვის მზრუნველს და ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის დაუცხრომელს მუშას. გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით აუწყოთ განსვენებულ ს ნათესავთა და ამხანაგთა ჩვენი ღრმა და გამოუთქმელი მწუხარება.“

## უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Post“-ს აუწყებენ სოფიიდგან, რომ თუმცა პირველში სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიისამ განიზრახა დაპატიმრებულ ნიკიფოროვისა და კარაველოვის განთავისუფლება თავდებობით, მაგრამ შემდეგში თავი დაანება ამ განზრახვას, რადგან ახალი გეშები ჩაუვარდა ხელში მთავრობას და ამ გეშებით დიდი ბრალი ედება როგორც კარაველოვს, აგრეთვე ნიკიფოროვსაო.

— ვენიდგან სწერენ სამხრეთ-გერმანიის გაზეთებს, რომ სოფიაში მისულა რიდეზელი, რომელსაც რაღაც განსაკუთრებული მინდობილება აქვს პრინცის ალექსანდრე ბატტენბერგისაგან ბოლგარიის სარეგენტო მთავრობასთანაო.

— სოფიიდან დეპეშით აუწყებენ 5-ის მარტიდგან გაზეთ „Berliner Tageblatt“-ს: ამას წინად ოსმალეთის აგენტმა სოფიაში რიზა-ბეგმა გამოაცხადა: რადგან საერთო ჩივილია, რომ სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა ძალიან სასტიკად ეპყრობა დაპატიმრებულთაო, ამიტომ კარგი იქნება, რომ ამ საქმეზედ გამოძიება დაინიშნოსო. რიზა-ბეგის ამ განცხადებაზედ ინგლისისა და იტალიის წარმომადგენელთ ის აზრი წარმოსთქვეს, რომ ჩვენ დაპატიმრებულთა ნათესავებისა და მოკეთეების საჩივარი უსაფუძვლოდ მიგვაჩნია და ამიტომ წინააღმდეგნი ვართ მაგ საგანზედ რაიმე გამოძიების დანიშვნისაო. გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიის წარმომადგენელთ-კი გამოუცხადებიათ, რომ თუ გინდა გამოძიებაც დაინიშნოს მაგ საქმეს არაფერი შედეგი არ ექნება და ამის გამო გამოძიება მეტად მიგვაჩნიაო. მხოლოდ საფრანგეთის კონსულმა ფლურმა სთქვა, თურმე, რომ უეჭველად გამოძიებული უნდა იქმნეს ეს საქმე და თუ არც ერთი სახელმწიფო არ მომყვება მხარს ამ საქმეში, მე და რიზა-ბეგი დავნიშნავთ ამ გამოძიებასაო.

— ვენიდგან სწერენ ინგლისის გაზეთებს, რომ ოსმალეთის წარმომადგენელმა პეტერბურგში შაქირ-ფაშამ შემდეგი ბრძანება მიიღო თავის მთავრობისაგან: აუწყე რუსეთის მთავრობას, რომ ოსმალეთი ბოლგარიის საქმეში იმ გზასავე ადგება, რა გზასაც დღევანდლამდე ადგა და რომ აღმოსავლეთ-რუმელიაში ოსმალეთის ჯარების ჩაყენება შეუძლებელი საქმეაო.

გერმანია. იმპერატორს გერმანიისას ვილჰელმს უნებებია და იტალიის მინისტრის გრაფ რობილანისათვის უბოძებია „შავის არწივის“ ორდენი. გაზეთები ამბობენ: ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ გერმანიისა და იტალიის შორის მეგობრობა ჰსუფევს და რომ მტკიცედ არიან ეს ორნი სახელმწიფონი ერთმანერთთან შეკავშირებულნიო.

— გენერალს მარკიზს დ'აბზაკს გზათ შეუვლია ბერლინში და უნახავს იმპერატორი ვილჰელმი. აი სხვათა შორის რა უთქვამს ვილჰელმს მარკიზის დ'აბზაკისათვის, როგორც სწერს გაზ. „Caulois“-ი: „საყვარელო გენერალო, შეტყობილი მაქვს, რომ აქედგან საფრანგეთში უნდა დაბრუნდეთ და ამიტომ უფრო მოვისურვე თქვენი ნახვა. მინდოდა თქვენთვის მეთხოვნა, გარდასცეთ თქვენს თანამემამულეთ, რომ ომის შიში ნუ აქვთ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გერმანიისა და საფრანგეთის შორის ბრძოლა შეუძლებელია. ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ყოველსავე ღონის-ძიებას ვიხმარებ, რომ მშვიდობიანობა დაცულ იყოს ამ ორთა სახელმწიფოთა შორის. გერმანიას ამ ჟამად ერთად-ერთი სურვილი აქვს და ეს სურვილი ის არის, რომ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს საფრანგეთთან და რადგან, რამდენადაც მე ვიცი, საფრანგეთის სურვილიც ეს არის, ამიტომ უფრო ვარ დარწმუნებული, რომ მშვიდობიანობას შუაში არა მოელის-რა და ძნელად თუ ბრძოლა ასტყდესო“.

ავსტრი-ვენგრია. ვენიდგან დეპეშით აუწყებენ ბერლინის გაზეთებს: მართალია ის ამბავი, რომ გერმანია, ავსტრი-ვენგრია და იტალია დაახლოვებიან ერთმანეთს და შეკავშირებიანო. პირობა აქვს ამ სახელმწიფოთ შეკრული ერთმანეთში, რომ თუ ერთს მოკავშირე სახელმწიფოს ბრძოლა აუტყდეს, ამ პირობის ძალით მეორენი უნდა მიემხრნენ და ყოველივე სარჩელი გაუწიონ და შემწეობა აღმოუჩინონო. ვენაში იმ აზრისანი არიან თურმე, რომ დღეის შემდეგ, რა კი ეს სახელმწიფონი შეკავშირდნენ, მშვიდობიანობას აღარა დაარღვევს-რა და ომისა და ბრძოლის შიშმაც გაიარაო. მით უფრო აღარ უნდა გვქონდეს ბრძოლის შიში, რომ თუ

ვინიცობაა ამ სამ სახელმწიფოთაც გაუშორდათ საქმე, ინგლისი, ოსმალეთი, რუმინია და სერბიაც მათ მიემხრობიან და მხარს მისცემენო.

ინგლისი. 4 მარტს კალკუტიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Indépendance Belge“-ს, რომ რადგან ამ ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთს განზრახვა აქვს, რომ ან შენჯდეს და ან ჰერათს დაესხას თავსაო, ამიტომ ინდოეთის მთავრობამ გარდასწყვიტა პიშინოში ჯარები გაჰგზავნოსო. ეს ჯარი ავღანის მიწა-წყალზედ არ გადავა, მაგრამ სამზღვრებიდგან კი ყოველსავე დახმარებას აღმოუჩენს ავღანის ემირსაო.

## გასართობი

ხახარგებლო მოგონება. ხშირად შემდეგი უბედურება დატრიალდება ხოლმე: გახდება ვინმე ავად სალათას ძილით, ორი-სამი და ხშირად ოთხი დღეც სალათას ძილით არის ავად-მყოფი შეპყრობილი. ხალხი აილებს ხოლმე მძინარეს და ჰმარხავს, რადგან გარდაცვლილი ჰგონია. საბრალო ავად-მყოფი იღვიძებს საფლავში, უპაეროდ სული უგუბდება და ჰკვდება. ხშირად მომხდარა, საფლავში, დამარხულს რომ გამოჰძღვებია, კუბოში სიმწარით ტანისამოსი და ხორცი დაუგლეჯნია, გადაბრუნებულა და ამ ტანჯვაში ამოჰხდომია სული. აი ამ გვარ უბედურებათა ასაცილებლად ერთ-გვარი კუბო მოუგონიათ, რომლის შემწეობითაც შეიძლება სალათას ძილით შეპყრობილის სიკვდილიდგან გადარჩენა, თუ გინდა დამარხული იყოს კიდეც. ამისთანა საეჭვო გარდაცვალებულს რომ დაჰმარხვენ, ამ კუბოთი უნდა დაჰმარხონ. აი როგორ არის თურმე კუბო მოწყობილი: პატარა მილია მიწაში გატარებული კუბომდე. ეს მილი დახურულია მაგრად. შეინძრევა თუ არა დამარხული, კაცი იქნება თუ ქალი, მილი გაიღება თურმე და წმინდა ჰაერს ჩაუშვებს კუბოში. ამას გარდა საფლავის ზემოდგან ელექტრონის ზარია გაკეთებული. მავთულის ერთი წვერი დამარხულსა აქვს მკლავზედ შემოხვეული; გაინძრევა თუ არა, ზარები დაიწყებს წკარუნს და იმ დრომდე არ შესწყვეტს ხმას, ვიდრე საფლავს არ ამოსთხრიან და დამარხულს არ ამოიყვანენო.

**

ვინ უფრო სასურველი, რომ სამოთხეში წავიდეს? ინგლისის გაზეთები ხშირად რომელსამე საკითხავს საგანს დაადგენენ ხოლმე და თავის ხელის-მომწერთა სთხოვენ, რომ გარდასწყვიტეთ ეს საკითხავიო. ამას წინად ინგლისურს გაზეთს „Pall-Mall Gazette“-ს უკითხავს: მკითხველების აზრით, ვინ უფრო არის სასურველი ინგლისის გამოჩენილ კაცთა შორის, რომ სამოთხეში წავიდესო. და აი რა პასუხი მიუღია მკითხველებისაგან: უწინარესს ყოვლისა სამოთხეში უნდა წავიდეს ჯერ გორდონის სული, მერე გლადსტონისა და სულ ბოლოს ლორდის შეფტსბერისა. გორდონს ორჯელ უფრო მომეტებული ხმა ჰრგებია ვიდრე გლადსტონსა, გლადსტონს ერთი ხმა რგებია მეტი ლორდ შეფტსბერზედ. ჩერჩილი, ჩემბერლენი, კარლეილი, ბაირონი, ბელლი, ნელსონი და ველინგტონი სულის მოსანანიებელ ადგილას უნდა წავიდნენ საიქიოსაო. იმის გამო კი, თუ ჯოჯოხეთის ღირსი ვინა არისო, ყველა გაზეთის მკითხველს, თავის მოსისხლე მტერი დაუსახელებია. უმეტესობას-კი ის უთქვამს, რომ ჯოჯოხეთის ღირსი გიორგი მე-IV და ლორდი კლასტირიაო.

# დეპეშა

15 მარტი

პეტერბურგი. გაზეთები გვაუწყებენ, რომ მუშაობა გაათავა იმ კომისიამ, რომელსაც უნდა შეედგინა პროექტი იმის თაობაზედ,—თუ რა უპირატესობა მიეცეთ იმპერიის შორეულს ქვეყნებში სამოქალაქო სამსახურის მოხელეებსაო.

პარიჟი. პალატამ მოუმატა ბაჟი სამზღვარ-გარეთიდგან მორეკილს საქონელზედ: ხარზედ—25-დგან 38-მდე, ძროხაზე 12—20-მდე, ხბოზედ 4—8 მდე და ცხვარზედ—3—5 ფრანკამდე. მოუმატა ბაჟი აგრეთვე ხორცზედაც: 100 კილოგრამზედ 7—12 ფრანკამდე.

ბუქარესტი. ხმა არის, რომ პლევნასა და ვიდდინში, აგრეთვე კობრიგიცს, აღმოსავლეთს რუმელიაში, ამბოხებაა სარეგენტო მთავრობის წინაადმდეგაო.

ბომბეი. დეპეშა «რეიტერის სააგენტოსი»: ჰერათის გუბერნატორისაგან მიღებულ სარწმუნო ცნობათა გამო, აქაურს გაზეთებში სწერენ, ვითომ თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა უბრძანა ისკანდერ-ხანს, 12,000 ჯარის-კაცით თავს დაესხი უცბად ჰერათს და აიღეო. ავღანის ემირმა გასცა ბრძანება, რომ სასწრაფოდ მიემატოს ჰერათის მეციხოვნე ჯარს 10,000 კაციო. ასეთის ამბების გამო ემირმა მოითხოვა, რომ თავი მოჰკვეთონ საიდ-ემირს, რომელიც სულთანისა და ემირ-ბაშის სიმამრიაო. ემირ-ბაში კოგისტანის მფლობელი იყოო. საიდ-ემირის სიკვდილს იმიტომ თხოულობს ავღანის ემირი, რომ შეამჩნიეს ღალატი: მიწერ-მოწერა ჰქონია ეიუბ-ხანთანაო.

17 მარტი

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა მიართვა ხელმწიფე იმპერატორსა, ყოვლად უქვემორდომესი ადრესი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტისა, ეს ადრესი ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დირს ჰყო შემდეგის ზედ-წარწერისა გმადლობ პეტერბურგის უნივერსიტეტსა და იმედი მაქვს, რომ იგი საქმით და არა მარტო ქაღალდით დაამტკიცებს თავის ერთგულობას, და ეცდება გააქარვოს იგი მძიმე მწუხარება, რომელიც ვგრძნობ იმის გამო, რომ სტუდენტები არიან გარეულნი ბოროტს განზრახვაში. ღმერთმა ხელი მოუმართოს უნივერსიტეტს ყოველ კეთილ საქმეში.

საყოველთაოდ გამოცხადებულია ყოვლად-უქვემორდომესი ადრესი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტისა: თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, ყოვლად-მოწყალეო ხელმწიფევ სამმა ბოროტ-მხრახველმა, რომელნიც ჩვენდა დიდ საუბედუროდ ამ ხანებში გახდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებად, მონაწილეობა მიიღეს საშინელ ბოროტ განზრახვაში და ამით აუტანელი სირცხვილი დასდეს უნივერსიტეტსა. გვემძიმება, გვაწუხებს, გვედარა გვითქვამს რა! ამ მწუხარებაში მთლად პეტერბურგის უნივერსიტეტი ყველა პროფესორები და სტუდენტები, მხოლოდ ერთად ერთს ნუგეშსა-და ჰხედიან: მოწყალება მოიღეთ, ხელმწიფევ, და ნება გვიბოძეთ თქვენის დიდებულების ფერხთა წინაშე პირ დამხობით განვაცხადოთ ქვეშევრდომობის ერთგულობა და მხურვალე სიყვარულის გრძნობა. დედანზე ხელი აქვთ მოწერილი რექტორს, პროფესორებს და მასწავლებელთა.

„Новое Время“ გვაუწყებს. გზათა სამინისტროში აღძრულია საქმე რკინის გზის გაყვანის თაობაზე კავკასიის მთებზე დარ-ვალისა და გორის შუა. გამოუანგარიშებიათ, რომ ეს გზა 46,500,000 მანათამდე დაჯდებაო.

„С-Петербургскія Вѣдомости“-ს შეუტყვია: ფინანსთა სამინისტროში შემდგარ კამისიას, რომელსაც რუსეთის რკინეულობის მკეთებელ ქარხნებისთვის რამე შემწეობა უნდა აღმოეჩინა, უთქვამს, რომ ზარბაზნები, ლაფეტები და ყუმბარები მარტო რუსეთის ქარხნებს უნდა შევუკვეთოთო.

სოფია. იუსტიციის მინისტრი სტოილოვი ვენაში წავიდა.

ხმები ისმის, რომ რიზა-ბეის უკანვე დაიბარებენო.

მადრიდი. ბევრს ქალაქებში რესპუბლიკანელების დიდი შეთქმულობა აღმოუჩენიათ და ბევრი დაუჭერიათ. უწესოება კი არა ყოფილა.

პეტერბურგის ბირჟა, 13-ს მარტს

ფასები:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 29 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 179¼ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 247½ |
| — მეორისა | — » | — » | 231¾ |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | 97 | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | 97 | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთ-ნდობის საზოგადოებისა | — » | 84½ | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

17 დღე სამშაბათი. ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. გერტრუდიასი და პატრიკიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23.

18 დღე ოთხშაბათი. წმ. ეკირილ იერუსალიმელისა. კათოლ. ედუარდისა და იუსტასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება იმამის მურისა (შიიტ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24.

19 დღე ხუთშაბათი. მოწ. ქრისანფესი და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა. სომეხ. მე-32 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულმა რაჰაიბის ღამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. მთვარე 8 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | | 3 | » |
| » 2 | » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | » |
| » » 2— | | 3½ | » |
| » » 3 | » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | | 4 | » |
| მე-3 — | | 3½ | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | | 8 | » |
| » 2 | » | 7 | » |
| სუკი | | 14 | » |
| ცხვრის ხორცი | | 10 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | | » | » |
| » 2 | » | » | » |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშა ბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საქმე რო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეთ გაბრიელ და მიხეილ მელქუმოვებს და რომელიც იმყოფება მე-7 აველაბრის ნაწილში, ქ. ტფილისში, „პოკროვის“ ყაზარმებთან. ეს ქონება არის ერთ-სართულიანი სახლი სარდაფებით, მიშენებულით და ეზოთი, სულ მიწა სივრცით 115 ოთხკუთხი საჟენია. ეს მამული დაფასებულია ას თორმეტ თუმან ნახევრად (1,125 მან.). ამ ფულით უნდა გადახდილ იქმნას სახელმწიფო ვალი, რომელიც დაედო გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ მოსეს ძეს ყაზაროვს. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელსა 8 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქმნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, საცა შეეძლებათ განიხილონ დაწერილებით აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—3)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა საჯაროდ გასყიდვისათვის თავის სამმართველოში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ყაზაროვს და რომელიც იმყოფება ქ. ტფილისის მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზედ. ეს ქონება არის ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამოსამსახურეთი და ეზოს ერთის ნაწილითა. სულ მიწა სივრცით 65 ოთხ-კუთხი საჟენია. ეს მამული დაფასებულია სამასს ორმოც-და-ათ თუმნად (3,500 მან.) და იყიდება იმ სახელმწიფო ვალის გადასახდელად, რომელიც დასდებია ყაზაროვს. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია 1887 წელს 8 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (Присутствіе Губернскаго Правленія), საცა შეეძლებათ განიხილონ დაწერილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი, ამ გასყიდვის შესახები. (3—3)

## კერძო განცხადებანი


თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდების.

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბ-ნთ გაჭართ იმდენი დაუთმობთ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—4)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

სმაილსის თვით განვითარება

თარგ. ივ. როსტომაშვილისმიერ.

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი


Дов. ценз. Тиф. 16 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე